ხუთი წელი გავიდა 9 აპრილის ტრაგიკული დღიდან.

გავიდა ხანი - ეს ხუთი წელი და თუ შეგვიძლია ჩვენ დღეს პირუთვნელად შევაფასოთ ია, რაც მოხდა? თუ კიდევ ხუთი წელი უნდა გავიდეს, ან ათი, ან მთელი საუკუნე, რომ უკვე ისტორიაქმნილი, გაყინული ფაქტი, რომელიც ცოცხალთაგან არავის ეხება, შევიმეცნოთ?...ან იქნებ მაშინაც, იმ ვნებათაღელვის ორომტრიალში, იყო შესაძლებელი განჭვრეტა მომხდარისა - ის ხომ ჩვენი ისტორიის მონაკვეთი იყო, რომელსაც არათუ შევესწარით - ჩვენი შექმნილ-მოწყობილი იყო. ხომ ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ ეს მომხდარიყო. ეს "აგორება" - მიტინგების პირმშო, რომელმაც ქვეშ მოიყოლა თავისუფალი აზრი - ხომ ასეთ შედეგს ამზადებდა. ნუთუ იმ შედუღაბებულ ხალხში, სადაც ჩაინთქა პიროვნება, ჩაიძირა პიროვნული აზრი, ვინმე გაიაზრებდა ამ "აგორებულის" მომავალს? ან თუ შეხედავდა იმ შედუღაბებულისგან განსხვავებული თვალით იმას, რაც ხდებოდა? თუ შეეძლო მას განყენება იმისგან, რაც იქ მზადდებოდა? თუ ასეთი თვალი ექნებოდა, იქ დარჩენაც შეეძლებოდა? გარეშე მდგომი ბრიყვისთვისაც ადვილია განსჯა - ვინ არ იტყოდა, რომ ეს ყველაფერი, ეს გამოწვევა უაზრობა იყო, როგორც კომიკურ უაზრობად გამოჩნდა ტანკისთვის კეტის ცემა - ამას ყველა დაინახავდა, ყველას შეეძლო დაეცინა ამ საქციელისთვის, მაგრამ ეს ხომ მაინც აქტი იყო, რომელსაც სიმბოლური ღირებულება მაინც შერჩა, რომ გამოხატა მთელი შემდგომი ხანა ჩვენი უმწეობისა. იქ მყოფი დარწმუნებული იყო, რომ მსოფლიო მას შესცქერის - აბა, გაუძლებს თუ არა, რომ ამ გაძლებაზეა დამოკიდებული ქვეყნის ბედი. რევოლუციის ერთი "წინასწარმეტყველი", ამბობდა სასოწარკვეთით, როცა გაუჭირდათ: ჩვენ კი წავალთ, მაგრამ ისე გამოვიჯახუნებთ კარს, რომ ჭერი ჩამოინგრესო. მართლაც ასე მოხდა, ცხრა აპრილს პირველი გამოჯახუნება იყო - დღეს ეს აშკარაა; მაგრამ მაშინაც, იმ დარბევისა და უწყალო ჩეხვის შემდეგ ეს წინასწარმეტყველება უნდა გახსენებულიყო. იმის წინასწამეტყველებაც შეიძლებოდა, რომ კიდევ იქნებოდა გამოჯახუნება და ის ახალი "აგორებებით" არ უნდა გამოგვეწვია. ეს უსათუოდ მოხდებოდა და ვაი მას, ვისი ხელშეწყობითაც მოხდებოდა!

მაშინ ეს მარცხი გამარჯვებად ჩაითვალა და ამაში იყო სიმართლის ნატამალი (აბელი მოიკლა, მაგრამ ის გამარჯვებულია და დღემდე მეტყველებს თავის სიმართლეზე). ამაში იყო მორალური ძალა, მაგრამ გაჩნდა საცთურიც: ამის განცდამ ამპარტავნობა გამოზარდა. მიტინგებზე გაზრდილმა "მოქალაქემ" დაიჯერა, რომ ამ დღემ შეძრა მთელი მსოფლიო და ბზარი გაუჩინა ბოროტების იმპერიას. და იქნებ სულ მოკლე ხანში საქართველო კიდეც "გაბრწყინებულიყო".

ჩვენ წინასწარმეტყველი არ გვყოლია, რომ ეთქვა, - როგორც იერემია ეუბნებოდა მეფეს და ხალხს - ბაბილონის მოწინააღმდეგეთ - გაუძელით მორჩილებით, ჯერ კიდევ არ გასვლია ვადა მის ბატონობას. რატომ უნდა განადგურდეს უფლის ერიო? კიდეც რომ გვყოლოდა, არათუ ყურს არ დაუგდებდნენ, ჩაქოლავდნენ. ასეთი სიტყვა თავისუფალის პირიდან უნდა გამოსულიყო, მაგრამ იქ შედუღაბებულმა უარი თქვა თავისუფლებაზე ეროვნული სახელის გატეხის შიშით, ასეთი სახელი კი ჭეშმარიტებაზე ძვირად ფასობდა. მაგრამ - "რა არის

ჭეშმარიტება"? ეს საუკუნო კითხვა იმ ორომტრიალში როგორ დაისმებოდა - ამის ადგილი იქ არ იყო, მაგრამ უარისთქმა ჭეშმარიტებაზე წარმავალის სასარგებლოდ დაუსჯელად არ ჩაივლიდა.

არ შეიძლება არ ეგრძნო ადამიანს, რომ იმპერია ირღვეოდა - ადრე თუ გვიან დაიშლებოდა. ეს გადაწყვეტილი იყო "სადღაც", კუნძულ მალტაზე თუ ცაში, და ეს მოხდებოდა, ეს ისტორიული აუცილებლობა იყო. მაგრამ ჩვენ გვინდოდა, ხვალვე მოხდარიყო და მომხდარიყო ჩვენი მონაწილეობით, ჩვენი, თუნდაც სისხლიანი, წვლილით - იქნებ ეს უფლება კი არა, ჩვენი ვალიც იყო, როგორც ისტორიის მოწოლა, რომ გამოგვეჩინა ამის ნება და ნგრევა უჩვენოდ არ მომხდარიყო. ის კეტის-ცემა ამ ისტორიული ნების დასტური არ იყო?